ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 74

"29" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის კორპუსი № 33-ში (საკადასტრო კოდი: № 01.14.16.012.012) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის კორპუს № 33-ში (საკადასტრო კოდი: № 01.14.16.012.012) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №19.221.277 განკარგულების დანართი № 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი № 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქ თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, კორპუსი № 33
(საკადასტრო კოდი: № 01.14.16.012.012)

№	სახელი და გვარი	პირადი N	დაკავებული ბინის სართული და ბინის ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი	საკადასტრო კოდი
1	იამზე ღვინიაშვილი	01007002898	სართული 1, ბინა №2	108.61 კვ.მ	01.14.16.012.012.02.002
2	ნინო ტურავა	58001008268	სართული 2, ბინა №3	129.44 კვ.მ	01.14.16.012.012.02.003
3	მაკა ხომერიკი	33001010718	სართული 4, ბინა №7	133.66 კვ.მ	01.14.16.012.012.02.007
4	იოსებ აბაიშვილი	20001003280	სართული 1, ბინა №12	87.95 კვ.მ	01.14.16.012.012.01.012
5	ლეილა ბოჯგუა	19001038716	სართული 2, ბინა №24	136.09 კვ.მ	01.14.16.012.012.01.024
6	რუსუდან ყურაშვილი	01010008537	სართული 4, ბინა №28	135.36 კვ.მ	01.14.16.012.012.01.028